ოქმი:**ო63.6322213001**
თარიღი:**01/08/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 33

ქ. სამტრედია. 27 ივლისი, 2022 წელი.

2022 წლის 27 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი’’-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს, მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცოფაია/

6. ანგარიში, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

7. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 ივლისის** N : 62-622220193, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, თანხა მცირდება არქივის ხარჯის მუხლში 0.8 ათ.ლარით, ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 1.5 ათ.ლარით, შენობა-ნაგებობებისა და მიმდინარე რემონტის მოვლა-დასუფთავების ხარჯის მუხლში 0.5 ათ.ლარით, თანამდებობრივი სარგოს მუხლში 3.0 ათ.ლარით, სულ 5.8 ათ.ლარით; შესაბამისად თანხა იზრდება შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 2.8 ათ.ლარით, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების ხარჯის მუხლში 3.0 ათ.ლარით, სულ 5.8 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 ივლისის** N : 62-622220194, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ, თანხა მცირდება საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც.ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო სასტამბო ხარჯების მუხლში 0.10 ათ.ლარით, კატრიჯების შეძენა და დატუმბვის ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, წყლის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 1.00 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით, რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, სულ 2.70 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 2.70 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 ივლისის** N : 62-622220180, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, შ.პ.ს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სპორტული კომპლექსი - სამტრედია''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილება გამოწვეულია, ბავშვთა ასაკობრივი გუნდების შეჯიბრებებში მონაწილეობის, ცენტრალური საფეხბურთო მოედნის

და მისი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-მოწესრიგებისათვის, თანხების მუხლობრივი ცვლილებით. კერძოდ, თანხა მცირდება მივლინების ხარჯის მუხლში 4.0 ათ.ლარით, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯის მუხლში 1.0 ათ.ლარით, წყლის ხარჯის მუხლში 12.0 ათ.ლარით, ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯის მუხლში 4.0 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯის მუხლში 4.0 ათ.ლარით, ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში 5.50 ათ.ლარით, რეკლამის ხარჯის მუხლში 1.0 ათ.ლარით; შესაბამისად თანხა იზრდება შემდეგ მუხლებში: შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების რემონტის ხარჯი 2.0 ათ.ლარით, ელექტრო-ენერგიის ხარჯი 2.0 ათ.ლარით, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი 3.0 ათ.ლარით, ბანკის მომსახურების ხარჯი 0.10 ათ.ლარით, აუდიტორული მომსახურების ხარჯი 0.60 ათ.ლარით, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯი 13.0 ათ.ლარით, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი 10.60 ათ.ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი 0.20 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 6 ივლისის** N : 62-622218724, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის, ექვსი თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს, თანდართული ფორმების მიხედვით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

ექვს თვეში ბიუჯეტის მიმართ ხუთჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 32273.8 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 13516.0 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 10071,7 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 4053,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 4702,1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -350,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 306,6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის N627 განკარგულებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -660,0 ათასი ლარი.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი , რომელიც განაწილებულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ივნისის თვის შემოსავალმა შეადგინა 14191,1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 94,7 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 8327,5 ათასი ლარი, რაც ივნისის თვის გეგმის 102,1 %-ია, დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 6512,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა- 93,9 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 54,0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 13,4%-ით, ქონების (იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1760,6 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა -2.

ხოლო, რაც შეეხება 2022 წლის ივნისის თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2021 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტთან (8559,7 ათასი ლარი), შემოსულია 5631,1 ათასი ლარით მეტი, 16,0 %-ით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 25 ივლისის** N : 62-622220650, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის 2022 წლის 07 ივლისის №01622220337 მოხსენებითი ბარათის თანახმად, განკარგულებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ეწერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახალსოფელში, ერთ-ერთ პრიორიტეტად შერჩეული იქნა „საბავშვო სკვერებში ატრაქციონების შეძენა-მონტაჟის“ საპროექტო წინადადება. სატენდერო პროცედურების შედეგად, საბავშვო ატრაქციონების შეძენა განხორციელდა 7800 ლარად და დარჩა ეკონომია 3200 ლარის ოდენობით. აღნიშნული ეკონომიის ასათვისებლად, მიზანშეწონილია თანხა მიმართული იქნას სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტის - სოფელ ახალსოფელში „საწრეტი არხების რეაბილიტაციის“ მიმართულებით.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 ივლისის** N : 62-62222017, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიშს 6 (ექვსი) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა დეტალურად გაანალიზა განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2022 წლის ბიუჯეტი და მათ შორის 6 თვეში შესრულებული სამუშაოთა ხარჯები. კერძოდ, სამსახურის ბიუჯეტი შეადგენს 180 000 ლარს. სამსახურის მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ, **კულტურა, ძეგლთა დაცვა, ტურიზმის ასიგნება შეადგენს -63000 ლარს. გაწეული ხარჯი 6 თვეში წარმოდგენილია- 9 353.8 ლარის ოდენობით.**

ახალგაზრდული ღონისძიებების ასიგნება შეადგენს -40 000 ლარს, ხოლო ხარჯი - 17 568.82 ლარს.

სპორტული ღონისძიებების ასიგნება შეადგენს - 77 000 ლარს. გაწეული ხარჯი კი -14 413.60 ლარს.

მოცემულ პერიოდში პარალელურ რეჟიმში სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამინისტროების, გუბერნიისა და მოქალაქეების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი

ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მიწოდება, როგორც წერილობით ასევე, ელექტრონული ფორმით. სამსახურის მიერ ამ პერიოდში დამუშავებულია 419 დოკუმენტი. ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდა შესაბამისი სამინისტროების, საპარლამენტო კომისიების მიერ მოწყობილ ონლაინ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.

საკითხი განიხილა განათლების , კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურიამ.

ნუგზარ ჯამბურია - კომისიამ მოისმინა მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში. ქალბატონმა ნატალიამ, საფუძვლიანად და თანმიმდევრულად წარმოადგინა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა. მისასალმებელია ეს ფაქტი და მე პირადად, როგორც კომისიის რიგითმა წევრმა, მადლობა გადავუხადე მას ასეთი ნაყოფიერი საქმიანობისთვის. კარგია, რომ ასეთი სამსახურები მერიაში არსებობენ. საკრებულომ მოისმინა მერიის სამი სამსახურის ანგარიში 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. საკრებულოს სამუშაო გეგმაში გაწერილია სხვა სამსახურების ანგარიშის მოსმენა, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ კომისიას შეუძლია შეამოწმოს სპორტის სახეობების მიხედვით სხვადასხვა სწავლებები, შეჯიბრებები. რა პირობებში მუშაობს ჯგუფები. ამის შემდგომ, შეგიძლიათ წარმოადგინოთ ანგარიში და შესაძლებლობის ფარგლებში, ახალი საფინანსო წლისათვის, მყარი საფუძვლის არსებობის პირობებში, გათვალისწინებული იქნება ფინანსური დახმარება.

დაადგინეს: ანგარიში, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი’’-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს, მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

6. ანგარიში, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, ნ.მანჯგალაძე.

თანამომხსენებელი: საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

7. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2022 წლის

1 აგვისტოს, 11^{00} საათზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი